

2016 წელი

აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენი

№35 / დეკემბრის მეორე დეკადა



გარემოს ეროვნული სააგენტო

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი	2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები	2
2016 წლის დეკემბრის მეორე დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები	3
აღმოსავლეთ საქართველო.....	4
დასავლეთ საქართველო.....	13

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი

დეკემბრის მეორე დეკადა ქვეყნის ტერიტორიაზე ძალზე ცივი და ნალექიანი ამინდით ხასიათდებოდა. დეკადის ბოლოს თოვლი მოვიდა დასავლეთ საქართველოს დაბლობშიც.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში, მრავალწლიან მაჩვენებელთან შედარებით 4-6⁰-ით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 2-4⁰-ით დაბალი აღმოჩნდა და შეადგინა: 2-5⁰ დასავლეთ საქართველოს დაბლობში; -2⁰ დასავლეთ საქართველოს მთებში; 1; -2⁰ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში; -5; -8⁰ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში 8-13⁰, დასავლეთ საქართველოს მთებში 4-6⁰, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 4-13⁰, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში კი 3-5⁰-ის ფარგლებში მერყეობდა.

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში -4; -6⁰-სი შეადგინა, დასავლეთ საქართველოს მთებში -8; -14⁰; აღმოსავლეთ საქართველოს ბარში -6; -18⁰, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში -15; -24⁰-ის შუალედში ფიქსირდებოდა.

ნალექები განვლილ დეკადაში 6-9 დღის განმავლობაში მოდიოდა დასავლეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 1-5 დღე და მათი ჯამი ასე განაწილდა: 57-156მმ (მრავალწლიური ნორმის 190-350%) დასავლეთ საქართველოში, 1-37მმ (10-264%) აღმოსავლეთ საქართველოში. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დეკადის ბოლოს ნალექი თოვლის სახით მოდიოდა და მისი სიმაღლე დეკადის ბოლო დღეს 3-24სმ იყო, ხოლო ხულოში 243სმ.

ძლიერი ქარი (15მ/წმ და მეტი სიჩქარით) ქროდა 1-6 დღის განმავლობაში ქვეყნის ცალკეულ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები

დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებული ჰაერის მინიმალური ტემპერატურა -6⁰ უარყოფითად იმოქმედებდა ციტრუსების ახალგაზრდა ნაზარდზე. ნალექიანი ამინდი ხელს უშლიდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებას.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვლის საფარის გარეშე დარჩენილ საშემოდგომო მარცვლეულზე, უარყოფითად იმოქმედებდა დაფიქსირებული -18⁰ ტემპერატურა, რომელიც ასევე საშიშია ვაზის ერთწლიანი წანაზარდისთვის.

მთიან ზონაში საშემოდგომო მარცვლეული თოვლის საფარის ქვეშ იმყოფება. ყინვა ნათესებს ვერ დააზიანებს.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის სამოვრებზე საქონლის შენახვისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები იყო.







2016 წლის დეკემბრის მეორე დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები



სადგური	ჰაერის ტემპერატურა C°				მინიმალური ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე	ნალექები			ნალექიან დღეთა რიცხვი		დღეთა რიცხვი ქარით 15 მ/წმ და მეტი სიჩქარით	ჰაერის საშუალო დეკადური შეფარდებითი ტენიანობა, %	თოვლის სავარი
	საშუალო დეკადური	გადახრა ნორმიდან	მაქსიმალური	მინიმალური		რაოდენობა მმ	რაოდენობა ნორმიდან %-ში	დღელამური მაქსიმუმი	1 მმ და მეტი	5 მმ და მეტი			
ქობულეთი	4.9		13	-4		143	190	41	8	7	6		
ხულო	-2.4	-6	6	-13		147	350	48	9	6			243
ზუგდიდი	2.6	-4.1	11	-6	-9	109	231	32	7	7		88	4
ქუთაისი	3.3	-4.4	11	-4	-4	156	333	68	6	5		87	10
ზესტაფონი	1.9	-3.8	8	-6		140	297	57	6	5	2		17
საჩხერე	-1.6	-3.5	5	-8		57	190	21	6	5			9
ამბროლაური	-2.2	-3.6	4	-14	-16	57	20.3	22	6	5		79	24
ხაშური(აგარა)	-2.2	-2.5	4	-17		30	214	12	5	3			15
გორი	-2.0	-2.9	6	-18	-20	26	216	8	5	3	2	87	7
თიანეთი	-5.6	-3.5	5	-15		17	121	13	3	2			5
ფასანაური	-5.5	-4.4	3	-16	-21	20	133	14	3	2		75	26
თბილისი	1.3	-1.5	8	-8	-13	3	37	3	1		2	84	
საგარეჯო	0.0	-2.0	10	-9		6	46	6	1	1			
დედოფლისწყარო	-1.3	-1.8	9	-8		23	255	9	3	3	1		8
თელავი	-0.2	-2.3	13	-8	-10	7	63	3	3			73	
ყვარელი	0.8	-2.1	13	-10		33	235	12	3	3			
ლაგოდეხი	1.3	-1.5	13	-6		37	264	22	2	2			
ბოლნისი	0.2	-2.1	9	-7	-12	4	66	4	1			56	
ახალციხე	-4.6	-4.4	5	-18	-13	1	10	1	1			76	3
წალკა	-5.9	-3.5	5	-20		2	33	1	2				13
ახალქალაქი	-8	-4	4	-24		14	200	14	1	1			15







აღმოსავლეთ საქართველო





































დასავლეთ საქართველო















10 - 16 დეკემბერი 2016 წელი



NDVI (Normalized Difference Vegetation Index) - მცენარეულობის ნორმალიზებული შეფარდებითი ინდექსი, ეს არის ფოტოსინთეზურად აქტიური ბიომასის მარტივი რაოდენობითი მაჩვენებელი (ჩვეულებრივ მას უწოდებენ სპეგეტაციო ინდექსს).

აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინდექსს და გამოიყენება მცენარეული საფარის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

ობიექტის ტიპი	NDVI-ის მნიშვნელობა
მჭიდრო მცენარეული საფარი	0.7
მეჩხერი მცენარეულობა	0.5
ნიადაგის მოშინებულზე ზედაპირი	0.025
ღრუბლები	0
თოვლი და ყინული	-0.05
წყალი	-0.25

ხელოვნური მასალები (ბეტონი, ასფალტი)

-0.5

შენიშვნა: იმის გამო, რომ შემოდგომით მიმდინარეობს ფოთლების გაყვითლება და ფოთოლცვენა, შესაბამისად არეალში იცვლება NDVI-ის მნიშვნელობა შემცირების მიმართულებით.